ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01202381198**
თარიღი: **25/08/2020**
პინი: **3353**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური") განიხილა თქვენი 2020 წლის 18 აგვისტოს #60-01202312802 წერილი და AR1767249 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე ქეთევან ფანცულაიას მომართვის საფუძველზე ითხოვთ, შპს ,,დასტა პროპქოს" საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა #15ბ ს.კ. #01.19.34.002.178) (ს-1) IV კლასის სამეურნეო და საწარმოო ობიექტის/საწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი **გამწვანების პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე არსებული 7 ძირი ნარგავი (ზეხმელი/ხმობადი #4-ტუიას და #9 თუთის ხის გარდა) და ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 10 ძირი მწვანე ნარგავი (3 ძირი მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი, 4 ძირი ჩვეულებრივი იფანი, 3 ძირი კავკასიური ცაცხვი) სრულად ითვისებს კ3-0.1 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (271.0 კვ. მეტრი).** განსამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით შეითანხმოს გამწვანების პროექტი.**

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი) (მოვალეობის

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

შემსრულებელი)

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 4 20 02183201

15/09/2020

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი) ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2020 წლის 14 სექტემბრის N 60-01202583625 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N15ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.34.002.178) ასაშენებელი საწყობის (დოკუმენტების საცავი/არქივი) შენობის კორექტირებული არქიტექტურული და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების: სახანძრო სიგნალიზაციის, კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის, ევაკუაციის მართვის, გარე და შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების პროექტების სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა.

წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ ასაშენებელი საწყობის შენობის (დოკუმენტების საცავი/არქივი) კორექტირებული არქიტექტურული და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტები, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის **2020 წლის 20 აგვისტოს N MIA 12001944222** და **2020 წლის 3 სექტემბრის N MIA 92002076502** წერილების შესაბამისად შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები, **შეესაბამება** სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 1 20 01944222

20/08/2020

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი) ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2020 წლის 18 აგვისტოს N 60-01202312800 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N15ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.34.002.178) ასაშენებელი საწყობის (დოკუმენტების საცავი/არქივი) შენობის კორექტირებულ დაპროექტების დოკუმენტაციაში, არ არის გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის **2020 წლის 8 ივლისის N MIA 82001537807** წერილის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ დაკორექტირდება დაპროექტების დოკუმენტაცია, ზემოაღნიშნულ წერილში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნული გამოიწვევს არქიტექტურული პროექტის განხილვისა და სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის ნაწილში დასკვნის მომზადების პროცედურის შეფერხებას.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge